აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №2

23/05/2017 წელი **ქ. ბათუმი**
11⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, რამაზ გოლომანიძე, ზურაბ გოლიაძე და თორნიკე მჟავანაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საჯარო თანამდებობების დასაკავებელი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ;

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

3. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საჯარო თანამდებობების დასაკავებელი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ;

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

1. დადგენილება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საჯარო თანამდებობების დასაკავებელი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საჯარო თანამდებობების დასაკავებელი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი და კომისიას შესთავაზა ახლად შექმნილი ინსტიტუციური განვითარების სამსახურის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატს მოეთხოვოს სამწლიანი ზოგადი სამუშაო გამოცდილება, უცხო ენის ცოდნა (სასურველია ინგლისური), ასევე ისაუბრა ხსენებული სამსახურის მთავარი სპეციალისტის და სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და საკონკურსო თემატიკაზე.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ გოლიაძემ, თორნიკე მჟავანაძემ და პარმენ ჯალაღონიამ.

ზურაბ გოლიაძემ კომისიას შესთავაზა დამატებითი საკვალიფიკაციო და საკონკურსო თემატიკიდან „აუცილებელი უნარ-ჩვევები“-ს ამოღება, მას მიაჩნია, რომ უნარ-ჩვევებში გაწერილი მოთხოვნების შემოწმება შეუძლებელია.

თორნიკე მჟავანაძეს მიაჩნია, რომ კონკურსანტს - (სამსახურის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე) სხვა აუცილებელ მოთხოვნებთან ერთად უნდა მოეთხოვებოდეს უცხო ენის კერძოდ, ინგლისურის ცოდნა, ვინაიდან სამსახურის ფუნქციიდან გამომდინარე (გრანტების მოძიება და ა.შ) სავალდებულოა.

პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ კანონმდებლობის თანახმად, საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე უცხო ენა (ინგლისური) სამსახურის უფროსის და მთავარი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატებს მოეთხოვება სასურველ მოთხოვნებში და არა აუცილებელში. ასევე აღნიშნა, რომ საკონკურსო მოთხოვნებში ჩაიდოს ერთ-ერთ პირობად, რომ კონკურსისას უპირატესობა მიენიჭოს ინგლისურის მცოდნე კანდიდატს.

სხდომის თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საჯარო თანამდებობების დასაკავებელი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის სხდომაზე გამოთქმული ცვლილებებითა და დამატებებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დადგენილება მიღებულია:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“

საქართველოს კანონის მე-19 მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საჯარო თანამდებობების დასაკავებელი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №6 დადგენილება (გაზეთი „აჭარა“ 23.05.2006 წ. №91) დანართში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. დანართის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საკადრო სამსახური

6.1 საკადრო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე:

ა. უმაღლესი იურიდიული განათლება;

ბ. სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ. კომპიუტერული პროგრამის (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) ცოდნა.

6.2 საკადრო სამსახურის სპეციალისტის თანამდებობაზე:

ა. უმაღლესი განათლება;

ბ. კომპიუტერული პროგრამის (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) ცოდნა.“

2. დანართის მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ინსტიტუციური განვითარების სამსახური

8.1. ინსტიტუციური განვითარების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე:

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება – ბაკალავრის ან კანონმდებლობის შესაბამისად, ბაკალავრთან გათანაბრებული ხარისხი;

ბ) მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება;

გ) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel).

2. სასურველი მოთხოვნები:
ა) უმაღლესი განათლება – მაგისტრის ან კანონმდებლობის შესაბამისად, მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი;
ბ) საარჩევნო ადმინისტრაციაში ან/და საარჩევნო სფეროში მუშაობის გამოცდილება;
გ) საჯარო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება;
დ) საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება;
ე) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება;
ვ) უცხო ენის ცოდნა (ინგლისური).

3. საკონკურსო თემატიკა:
ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“;
გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
დ) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ (I, III, IV, VI თავები);
ე) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი.

8.2 ინსტიტუციური განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:
1. აუცილებელი მოთხოვნები:
ა) უმაღლესი განათლება – ბაკალავრის ან კანონმდებლობის შესაბამისად, ბაკალავრთან გათანაბრებული ხარისხი;
ბ) მუშაობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება;
გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel).

2. სასურველი მოთხოვნები:
ა) უმაღლესი განათლება – მაგისტრის ან კანონმდებლობის შესაბამისად, მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი;
ბ) საჯარო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება;
გ) უცხო ენის ცოდნა (ინგლისური);
დ) საარჩევნო ადმინისტრაციაში ან/და საარჩევნო სფეროში მუშაობის გამოცდილება;
ე) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი;

ვ) სამუშაო გამოცდილება.

3. საკონკურსო თემატიკა:
ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“;
გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
დ) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ (I, III, IV, VI თავები);
ე) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი.

8.3 ინსტიტუციური განვითარების სამსახურის სპეციალისტის თანამდებობაზე:
1. აუცილებელი მოთხოვნები:
ა) უმაღლესი განათლება – ბაკალავრის ან კანონმდებლობის შესაბამისად, ბაკალავრთან გათანაბრებული ხარისხი;
ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel).

2. სასურველი მოთხოვნები:
ა) მაგისტრის ან კანონმდებლობის შესაბამისად, მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი;
ბ) საარჩევნო ადმინისტრაციაში ან/და საარჩევნო სფეროში მუშაობის გამოცდილება;
გ) საჯარო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.

3. საკონკურსო თემატიკა:
ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“;
გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
დ) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ (I, III, IV, VI თავები);
ე) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი.“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2017 წლის 17 მაისის №1 განკარგულებით დამტკიცებულ №2

დანართში შეტანილი იქნას ცვლილებები და დამატებები და ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2017 წლის 01 ივნისიდან.

(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**